# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 384. ხუთშაბათი, 2 მარტი, 1906 წ. გაზეთის № 3016.

# გამცემელი

ივ. ვაზოვისა.

მან გასცა!

გასცა თავისი ამხანაგი.

და ეს ამხანაგი სახჩობელაზე დაიღუპა.

ამ გაცემისათვის მიიღო რამდენიმე მუჭა ოქრო და პატივება, რომელმაც გზა გაუხსნა ბოლგარიისაკენ. ოქრო შეინახა და დაბრუნდა სამშობლოში, როდესაც მსხვერპლის გვამი ჯერ კიდევ თოკზე ეკიდა.

თვით იუდასაც მეტი გრძნობა ექნებოდა!

დანაშაულობა საიდუმლოდ და მოხერხებულად ჩაიდინა. ოქრო ბნელაში მიიღო, ჩუმად. დამნაშავე ფიქრობდა: „არავის არა დაუნახავს რა და არც გაუგონია. მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო საიდუმლოს გამომჟღავნება, მაგრამ საფლავი სდუმს. საიდუმლოება უზრუნველყოფილია. მე დამშვიდებით შემიძლიან დავბრუნდე სამშობლო ქვეყანაშიო“

და იგი გამოემგზავრა ბოლგარიისკენ.

ჯერ კიდევ ფეხი არ დაედგა სამშობლო მიწაზე, რომ შიში იგრძნო. მიყუჩებული სინდისი უცებ გაცოცხლდა და თავისი თავი მოაგონა. გამცემლი ამბობდა: „სახლში რომ მივალ, ექვის თვალით შემომხედავენ, ორ აზროვან სიტყვებს გადმომკრავენ და შემეკითხებიან. მზად უნდა ვიყო ყველასათვის, პასუხი უნდა გავსცე თამამად და წარბშეუხრელად. გამოვიდე ამ გამოცდისაგან თოვლზე უფრო სპეტაკი, ბროლზე უფრო წმინდა. პირდაპირ შევხედავ ადამიანებს თვალებში, თავხედს თავხედობით ან ზიზღით ვუპასუხებ. მე მოვკალი — მინდოდა სიცოცხლე, და ვიცოცხლებ კიდეც“.

ასე მსჯელობდა გამცემელის გონება, ამ მსჯელობას სინდისმაც დაუმატა „ჰოო!“ და ისიც დამშვიდდა.

—

სატახტო ქალაქში იმის გარშემო ყველაფერი მოკვდა და დაცარიელდა.

საზოგადოება არ ეკარებოდა.

არც ერთმა არ გაუწოდა ხელი; არც ერთი სიტყვა არ იყო მომართული იმისკენ; არც ერთმა თვალმა არ შეხედა იმის თვალებს.

არავინ არა თხოულობდა მისგან პასუხს, რადგან ყველამ თვითონ მისცა თავის თავს პასუხი. განაჩენი უკვე წარმოთქმული იყო. გამცემელს გადაუწყვიტეს სასჯელი გაუსამართლებლად: იმისთვის არ იყო საჭირო სხვა და სხვა გარეგან წესის შესრულება, მოწმეთა ჩვენება, ოქმები, კანონის ესათუ ის მუხლი, რადგან ყველაზე უფრო დაცემულ, საზიზღარ, საძაგელ და სასტიკ დანაშაულის — გამცემლობისთვის არ იწერება კანონთა დებულება, რომელიც არა სცნობს ასეთს დანაშაულობას.

საზოგადოებრივ სინდისს თავისი კანონი აქვს, რომელიც ხშირად სრულიად არა ჰგავს დაწერილს კანონს. ამ კანონის დადგენილებას არა სჭირია დამტკიცება, არც განსაჩივრება შეიძლება მისი. იგი შეუბრალებლია, შეუცდომელი, ხელშეუხებელი, ვითარცა განგება.

უბედური შეხვდა თავის ბავშობის ამხანაგებს, ყმაწვილობის და ყმაწვილურ თავის შექცევის მეგობრებს, ბრძოლისა და ტანჯვის დროის ამხანაგებს, რომელთანაც ერთი ჰქონდა სიხარულიც და მწუხარებაც. იცნო ყველანი, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ იცნო იგი.

შეხვედრის დროს ყველანი სადღაც ჰქრებოდნენ. ცოცხლები გარბოდნენ იმისაგან, როგორც შავ-ჭირიანისაგან; ქუჩა ცარლდებოდა იმის წინ.

შეხვდა ნათესავებს, ძმებსაც, მაგრამ იმათაც კი გვერდით ჩაუარეს, ნათესავების სისხლიც არაფერს ეუბნებოდა მათ.

არა ერთს გაუწოდა პირველმა ხელი, მაგრამ ხელი ისევ ძირს დაეშვა, რადგან პასუხი არავინ გასცა.

ხალხით სავსე, მშობელ ქალაქში მარტოდ-მარტო და უცხო იყო, როგორც მკვდარი მდუმარე საფლავში. ჰგრძნობდა, რომ გარშემო მკვდარი მძიმე ჰაერი იდგა; ხედავდა, რომ ადამიანების სიხარული და მწუხარება ვერ გაარღვევდა ამ გაყინულ ზიზღის ცივ კედელს, და ვერ მიაღწევდა მასთან. სცხოვრობდა განკიცხული და ყველა ერს მოშორებული გიჟივით სწყუროდა გაეგონა მისდამი მიმართული სიტყვა ადამიანისა. მზად იყო, სიამოვნებით გაეგონა ასეთი სიტყვებიც კი: საძაგელი! გამცემი! უსინდისო!

მაგრამ ეს საშინელი სიხარულიც ვერ გამოსცადა. ეს სიტყვები, მართალია, გაისმოდა, იმის ყურებში, მაგრამ ადამიანის წარმოთქმული არ იყო: ეს სიტყვები ჰაერში დაჰქროდა და წყევლის და შეჩვენების ხმა იყო. ხედავდა ათასს უხილავ თვალს, რომელნიც რისხვით უცქეროდნენ, მომზადებულ მუშტებს, რომელნიც ემუქრებოდნენ, ხედავდა ზიზღისაგან დამანჭულ სახეებს...

ახრჩობდა უსასლერო სირცხვილის ნიაღვარი.

სიმხნევე ეკარგებოდა. საკუთარი სინიდისი, როგორც მტაცებელი ნადირი, ისე ჩააფრინდა ბასრის კბილებით იმის ზნეობრივ გვამის გულს.

დადგა საშინელ ტანჯვის დრო, საშინელ ტანჯვისა არა მარტო იმიტომ, რომ ტანჯვა უზომო იყო, არამედ იმიტომაც, რომ არ უჩანდა დასასრული. ხსნას ვერ პოულობდა, არ იყო წამალი იმის წინაამდეგ... ქვეყანა ვიწროდ ეჩვენებოდა, რადგან ვერსად გამოენახა ისეთი კუთხე, სადაც ერთი წუთით მაინც განთავისუფლებულიყო საშინელ მოჩვენებისგან და დავიწყებას მისცემოდა. რომ შესძლებოდა, რა სიამოვნებით გადასახლდებოდა სხვა პლანეტაზე!.. რომ შესძლებოდა, რა სიამოვნებიდ ამოიგლეჯდა საკუთარის ხელებით თავის შიგნეულობას და გულს, სადაც დაბინავდა მტანჯველი ბოროტი სული!..

---

საშინელი სურვილი დაებადა, რამაც კიდევ უფრო გაუძლიერა ტანჯვა, — მოინდომა იმის საფლავის ნახვა. ერთხელ

## ეპისკოპოსნი



კირიონი — ლეონიდი

სინოდის კრებაზე საქართველოს ავტოკეფალიის იცავენ.

ღამე გაიპარა სახლიდგან და მეორე დილას დაბრუნდა მთლად გამტვერიანებული და ტალახში ამოსვრილი: იმის მუხლებს სველი მიწა და ბალახი მიჰკროდა, თითქოს დიდხანს მდგა-



ჯვარცმული.—სურათი გეისა.

რიყო დაჩოქილი მიწაზე, მისი ღრმად ჩავარდნილი თვალები გიჟურის გამომეტყველებით სადღაც შორს გაიცქირებოდა... სასაფლაოს დარაჯი ლაპარაკობდა იმ დღეს, „წუხელის“ გამოვედევნე ერთ უცნობ კაცს, რომელიც გასაქურდავად შემოპარულიყო სასაფლაოს ეზოში...

—

ერთხელ პატარა ქუჩაზე მიდიოდა—ახლა იგი „ასეთ მიყრუებულ ქუჩებით დადიოდა, სადაც ადამიანი ასე სასტიკად არ ეჩვენებოდა, რადგან აქ იშვიათად თუ ვინმე [იცნობდა. იმ დღეს სწორედ წელიწადი შესრულდა, რაც მოწამებრივის სიკვდილით დაიღუპა იმისი მსხვერპლი. ქუჩას „სამარხას“ სახელს ეძახდნენ და სასაფლაოსკენ მიდიოდა. გზაზე ეტლს შეჰხვდა, რომელშიაც შავებში გამოწყობილი ქალი იჯდა.

მაშინვე იცნო ქალის კეთილშობილი „მგლოვიარე“ სახე, თავი ჩაღუნა და მივიდა ეტლთან.

ქალმა დაინახა და მეეტლეს გაჩერება უბრძანა.

მოვიდა ქალთან, ხელი გაუწოდა, მაგრამ უცებ გონს მოვიდა და ძირს დაუშვა ხელი.

— მოწყალებას, მოწყალებას გთხოვთ... ოჰ, თქვენ მაინც შემიბრალეთ... ასე უბედური ვარ... მაპატიეთ...

ქალმა უპასუხა „წყნარის ხმით (პირველად ელაპარაკებოდა ადამიანი):

— მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ, მხოლოდ ერთი რჩევა შემიძლია მოგცეთ: მოკვდით!

ქალმა შებრალებით გააქნია თავი და ეტლი წავიდა.

ეს იყო წამებულის დედა. სასაფლაოდან ბრუნდებოდა, დაღუპულ შვილის საფლავიდან.

—

თვალები აუხილა სიტყვამ „მოკვდითო“. საშინელ ტვირთისაგან განთავისუფლდა. უცბად დაინახა, რომ მისთვისაც არის ხსნა—ერთად ერთი ხსნა—არა ადამიანურ ტანჯვისაგან იმ სირცხვილისა და უპატიოსნობისაგან, რომლითაც სავსე იყო დღემდის იმისი სიცოცხლე.

სიკვდილი!

სხვა სიტყვებით: განთავისუფლება საკუთარ თავისაგან.

იმ ღამესვე იმის ოთახში გავარდნილმა ტყვიამ გამოაღვიძა მეზობლები. ასტყდა ხმაურობა. მოვიდა პოლიცია და შეამტვრია კარები. იგი უძრავად ეგდო იატაკზე და თავი ტყვიით ჰქონდა განგმირული. პირიდან სისხლი გადმოსდიოდა. უძრავი თვალები გულგრილად იცქირებოდნენ.

სტოლზე ღია წერილი დაეტოვებინა. ეს იყო იმისი აღსარება ღვთისა და ადამიანების წინაშე... ასე მოკვდა გაცემელი!..

ს—ა.

# საშინელი „ვაჭარი“

მეზღვაურთა ცხოვრებიდან

(დასასრული*)

დასაწყისი მოგზაურობისა მშვიდობიანი იყო. „კვინ მაბ“-ი მშვიდობით გასცდა ჩინეთის მქუხარე ზღვას, აპობდა იმის მრისხანე ქარიშხალს, გავიდა სინგაპურის სრუტეში, უხიფათოთ გადალახა ინდოეთის ოკეანე და ცხელი მეწამლული ზღვა, სადაც სულის შემხუთველი სიცხე ყოველ ღელვაზე უარესია. მაგრამ ეს მგზავრობა მხიარული არ იყო: ის აზრი, რომ „კვინ მაბი“ მცურავ სასაფლაოდ გახდა, გულსაკლავ შთაბეჭდილებას ახდენდა ცრუმორწმუნე მეზღვაურებზე და თუმცა უმეტესი მათგანი მოუხეშავი და გულვა იყო, დაჩვეულნი იყვნენ ფიცსა, ღვთის გმობას და ლანძღვა-გინებას, მაინც არაფრად ეპიტნავებოდათ ესა. იმათ თითქმის სრულიადაც არა სწამდათ სჯული და სარწმუნოება, რადგან მეზღვაურის სული ნავთსადგურიდან ნავთსადგურამდე მიმოსვლით სიფაქიზესა და მგრძნობიარობას ჰკარგავს და უხეში ხდება: თავის დღს ასვამს ნავთსადგურის ცხოვრება იმას თავის დუქნებითა და გარყვნილების ადგილებით, სადაც ხმელეთზე ყოფნის დროს განუშორებლად არიან მეზღვაურნი და



გოლგოთა.—სურათი გეისა.

ამით დღეს იმოკლებენ. იმათი სარწმუნოება ჩქრა იცვლება ცრუმორწმუნოებად და მხოლოდ მოგზაურობის მუდმივი ში-

*) იხ. „დამატება“ № 383

ში-ღა აკავებს იმათს გულში მცირე ნაპერწკალს სარწმუნოებისას; მაგრამ ეხლა, როდესაც იცოდნენ, რომ იმათ ფეხქვეშ, გემის ბაქან-ქვემოდ უდროვოდ დალუპულ წამებულთა ძვლები ეყარა მეზღვაურთა: სულს რაღაც უჩვეულებრივო გრძნობა შეეპარა—არც თუ შიშისა, არც თუ მოწიწებისა. ესენი აღარ მღეროდნენ მეზღვაურთა სიმღერებს, აღარ ცეკვავდნენ და უმეტეს ნაწილად დაღვრემილები იყვნენ, „ნეტავი ჩქარა მივახწიოთ—და!"—აი ამ ერთზე ოცნებობდა ყველა

— მისტერ ტომსონ,—მოახსენა ერთ საღამოს კაპიტინს უფროსმა აფიცერმა,—საქმე ცუდათაა.

— რა ამბავია ? — დაღვრემით ჰკითხა კაპიტანმა.

— საქმე ცუდათაა, მე თქვენ გეუბნებით,—განაგრძო აფიცერმა:—თუ დანიშნულ ადგილზე უფრო ადრე რომელსამე ნავთსადგურს მივადექით, მე ჩემს ძველ შარავალს ჩამოვალ სანაძლეოდ, რომ ცხრა მეათედი მეზღვაურებისა ნაპირზე გამოსვლას მოინდომებს.

— ჰოო?—არც თუ შეეკითხა, არც თუ დაუდასტურა კაპიტანმა:—რაშია საქმე?..

— უკვე დიდი ხანია მეზღვაურთა შორის ჩუმი უკმაყოფილება გაისმის. იმათ შიში აქვთ გემისა, თავიანთ თავი·სა... ისინი ამბობენ, რომ ას ქუ ტვირთი უბედურებას მოიტანს... „ცოდვაა ადამიანთა ძვლების შეწუხებაო"—ამბობენ.

— დედაბრის ბოდვაა!—სასტიკად მოუჭრა, სიტყვა კაპიტანმა.—კარგი, მე თითონ მოველაპარაკები მაგ გმირებს...

— უკანასკნელ დღეებში კიდევ უფრო შეშფოთდნენ,—დაუმატა აფიცერმა:—საქმე ისაა, რომ მზარეული სმიტი და ხელზე მოსამსახურე ბიჭი ბილლი ირწმუნებიან, რომ იმათ თავიანთ საკუთარის ყურით გაიგონეს ხმაურობა და ოხვრაკვნესა გემის ქვედა ნაწილიდან... ეხლაც ყოველ ღამე გემის დარაჯები ყურს უგდებენ და ძლივსა სძლებენ სადარაჯოებზე... თითო თითოდ გამოსვლისა ეშინიანთ კიდეცა.

— მე მოველაპარაკები მაგ დედაკაცებს,—სთქვა კაპიტანმა.—მე დავუმტკიცებ, რომ ძვლებს ოხვრაკვნესა არ შეუძლიან. უბრძანეთ, სუყველანი გემის ქვემო ბაქანზე შეგროვდნენ!

აფიცერი წავიდა ბრძანების ასასრულებლად. რამდენისამე წუთის შემდეგ ბოცმანის სასტვენლამ ერთად მოაგროვა მეზღვაურები. ყველამ თავი მოიყარა ქვედა ბაქანზე, თუმცა არ იცოდნენ რისთვის ეძახდნენ.

გამოვიდა კაპიტანი. მოხუცმა მრისხანედ გადაავლო თვალი რიგზე გამწკრივებულ მეზღვაურებს.

— არ მეგონა, რომ ლაჩრებსა და დედაკაცებს ვუფროსობდი,—მკვახედ სთქვა კაპიტანმა.—ვინ ამბობს, რომ გემის ქვემოთა სართულიდან ოხვრა-კვნესის ხმა ისმის? მიჩვენეთ ის უსაქმო ვაჟბატონი!

—სმიტი, მზარეული სმიტი!—გაისმა რამდენიმე ხმა.—სხვებმაც გაიგონეს. არაფერი საჭიროა ამ წყეულ მგზავრობის განგრძობა. კეთილად არ დასრულდება ესა.

— ვინ აძლევს პასუხს კაპიტანს, როცა იგი არ ეკითხება,—მრისხანეთ და ბრძანების კილოთი სთქვა კაპიტანმა იმ აზრით, რომ მხოლოდ ასეთის გულადობით შეეძლო აღედგინა თავისი ღირსება, როგორც უფროსისა, და ამით მოესპო საშიში უკმაყოფილება.

— წარმომიდგინეთ აქ სმიტი!

მზარეული სმიტი წინ წამოდგა.

— თქვენ მართლა გაიგონეთ ესა?—ჰკითხა კაპიტანმა.—თუ, შეიძლება, ბლომად გადაჰკარით გროგი? წადით გემის ქვემო სართულში და დარწმუნდით, რომ იქ არავინა ჰკვნესის.

მზარეულ სმიტმა უკან დაიხია.

კაპიტანი ხელად მიხვდა, რომ იმის დამორჩილება არ შეეძლო: ეს კარგად დაეტყო იმის გადაფითრებულ სახეს. ამასთან ერთად იგი მიხვდა, რომ აუცილებლად ენერგიულ ზომისთვის უნდა მიემართნა.



რა არი, ჭეშმარიტება.—სურათი გეისა.

— ნუ იფიქრებთ, რომ თქვენი კაპატანი ისეთ ადგილს გაგგზავნით, სადაც თითონაც არ წავა,—სთქვა კაპიტანმა, და ამის სიტყვებთან ერთად მეზღვაურებში გაისმა მოწონების ხმა. მეზღვაურთ უყვართ გამბედაობა.

— ფარანი!—ბრძანა კაპიტანმა,—დარჩით აქა და მელოდეთ! მე მარტო... გესმით თუ არა? მე მარტო ჩავალ გემის ქვემო სართულში და დაგიმტკიცებთ, რომ თქვენ ქარგას უნდა უჯდეთ და არა მეზღვაურები იყოთ. გააღეთ ჩასასვლელი კარები!

როცა ეს ბრძანება შეასრულეს მეზღვაურებმა, კაპიტანმა ხელი დაავლო ფარანს, მტკიცეს ნაბიჯით გასწია ქვემო კარებისაკენ და დაეშვა იმ ადგილისაკენ, სადაც ძვლები ინახებოდა. ჩქარა თვალთაგან მიეფარა კაპიტანი. ყველას სუნთქვა შეუჩერდა.

ჯერ კაპიტანს არ მოენელებინა რამდენისამე წუთის წინად გამოვლილი მღელვარება და ამიტომ არა ფიქრობდა, თუ რა მოელოდა ქვემოდ. ფარანი მკრთალად უნათებდა. მაგრამ თან და თანობით თვალი შეაჩვია ნახევრად სიბნელეს და აქეთ-იქით მიმოიხედა. იმის გარშემო ეწყო ტომრები საშინელის საქონლით.

—ამის უნდა შეეშინდეს კაცს!—ხმა მაღლა თქვა კაპიტანმა,—ჩვეულებრივი საქონელი... ჩვეულებრივი ტომრები!

კაპიტანმა რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და მოულოდნელად უკან დაიხია: ფეხქვეშ რაღაც გამოედო. იგი შეჩერდა, დაიხარა, ფარანით გაინათა, გზა და აი რა დაინახა: ერთ

ერთი ტომარი გახეულიყო და იქიდან მოსჩანდა ნამ-დვილი ადამიანის ხელი გაფიჩხებულ თითებით, რომელიც სიკვდილის წინ დაეკრუნჩხა. მკლავზე კიდევ შერჩენოდა მაუ-დის ნაგლეჯი, ასე გასინჯეთ, მხარზე პაგონის ნაწილიც-კი ჰქონდა. და ფარნის სინათლეზე კაპიტანს თვალ წინ გაუელვა ორმა ბრჭყვიალა ღილმა. კაპიტანმა უნებურად უკან გადას-დგა ფეხი, შუბლზე ცივი ოფლი გადაასქდა, მთელის ტანით ათრთოლდა. უეცრად წარმოიდგინა, რომ მთელი გემის ქვემო სართული ტომრებით კი არა, ადამიანთ ტანის დამახინჯებულ დასისხლიანებულის, აქა-იქ მაუდის ნაგლეჯებით ძლივს-ღა და-ფარულის სხეულის ნაწილებით იყო სავსე.

— ჩემთან... უნდოდა დაეყვირნა კაპიტანს, მაგრამ რაღაც ჩახლეჩილი, საცოდავი ხმა ამოსქდა გულიდან. პასუხად მოესმა საშინელი, არა ადამიანური კვნე-სა, რამაც მთელი იქაურობა შეაძრწუნა. ეს კვნესა ძვალთა ხრაგუნმა შესწყვიტა, თითქო ერთმანეთს ეჯახებოდნენ. ამ კვნესასა და ამ ძვალთა რიხინში ისეთი საშინელება, ისეთი ტანჯვა იხატებოდა, რომ კაპიტანმა მხეცივით დაიღრიალა, ფარანი ხელიდან გააგდო და კარებს მიჰმართა. ფარანი ჩაჰქრა. კაპიტანმა კა-რებს ვეღარ მიაგნო და გიჟივით აწყდე-ბოდა აქეთ-იქით და ხან ერთ ადგილას გადაეხლართებოდა საშიშარ ტომრებს, ხან მეორე ადგილას... მოეჩვენა, რომ ამ ტომრებიდან წამოდგნენ გასისხლიანებუ-ლი ჩონჩხები და თავის გამხმარ ხელებს იმისკენ იშვერდნენ.

კაპიტანი მოწყვეტილი დაეცა ძირს. ნახევარმა საათმა გაიარა, მინამ ვინმე ბა-ქნიდან მიეშველებოდა. მეზღვაურებმა მარტო წასვლა ვერ გაჰბედეს და ერთად წავიდნენ, თან რამდენიმე ფარანი წაი-ღეს. იმათ ესმოდათ კაპიტნის ღრიალი და ეს საშინელებით უვსებდათ გულს. მაგრამ მეგობრობის გრძნობამ დასძლია იმათი სისუსტე. მეზღვაურებმა ძლივს იპოვნეს კაპიტანი, ტომრებს შუა უგრძნობლად მდებარე. სუ-ლის შემხუთველი სამარის სუნი ეცა მიმსვლელთ. ხელი მა-გრა ჩაავლეს ერთმანეთს და მდუმარე და, შეწუხებულებმა, როგორც იქნა, ასწიეს კაპიტანი და ჰაერზე გამოიტანეს. ტო-მსონი დიდხანს გონს ვერ მოვიდა, თავი-კი სულ ერთიანად გასთეთრებიყო. რამდენსამე წამში გაიგო ის, რასაც ათას წე-ლიწადსაც რომ იცოცხლოს კაცმა, ვერ გაიგებს—გაიგო სა-შინელება ძმათა მკვლელობისა...



ყოფნა, თუ არ ყოფნა?

საშინელი „ვაქარი“ მაინც მშვი-დობით მივიდა ჰოლანდიის ნაპირებთან. ეს იმას მიეწერება, რომ იმავ საღამოს უცებ ქარიშხალი ამოვარდა. ქარი გა-ნუწყვეტლად აწყდებოდა ძველ გემს და მთელის ტანით აკვნესებდა. მეზღვაურთ დიდი სამუშაო ჰქონდათ, დიდ შიშში იყვნენ. ამ ქარმა, ამ სიკვდილის სიახლო-ვემ განფანტა იმათი შიში და სიბრალულ-მა დაიჭირა იმის ადგილი,—სიბრალულმა იმათ მიმართ, ვინც ეხლა საშიშარ საქონ-ლად ვჰვენებოდათ, ვინც დაიღუპნენ მხოლოდ იმიტომ, რომ კაცმა ჯერ კი-დევ ვერ განდევნა თავის თავიდან მხეცი, რომელსაც სისხლი სწყურიან, რომელიც სასტიკი და გულქვაა...

კაპიტანი ტომსონი ამის მეტად აღარ წასულა „კვინ მაბ“-ით. ძველი გემი დაამტვრიეს. ძნელიც იყო მეზღვაურე-ბი[illegible]ეშოვნათ ასეთის მოგზაურობის შემ-დეგ.

**განდეგილი**



— ?

— ნუ გიკვირს, მეგობარო, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ამას წინად ქუჩების „გასუფთავებას“ მოჰყვა.



რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი